საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2411/01
04/03/2020

2411-01-2-202003041159

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამ. 76 ბ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 7 თებერვლის №1819/1 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში, მდ. აჭისწყლის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- არ არის წარმოდგენილი მდინარის ძირითადი საინჟინრო ჰიდროლოგიური მაჩვენებლები - საანგარიშო დატბორვის დონეები, კალაპოტის ადგილობრივი წარეცხვის სიღრმეები და საპროექტო კვეთებში წყლის საანგარიშო სიჩქარე;
- არ არის მითითებული ნორმატიული დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებითაც განხორციელდა 5%-იანი უზრუნველყოფის (20 წლიანი განმეორების) წყლის საანგარიშო ხარჯის განსაზღვრა;
- სკრინინგის განცხადების გრაფიკულ ნაწილში მოცემული უნდა იყოს საპროექტო ნაგებობის განივი კვეთები (მდინარის დატბორვისა და წარეცხვის დონეების ჩვენებით);
- წარმოდგენილი უნდა იყოს სქემა, სადაც მოცემული იქნება საპროექტო გაბიონის დეზების პარამეტრები (სიგრძე, ნაპირის მიმართ დახრის კუთხე), ასევე განმარტებული უნდა იყოს თითოეული დეზის მიერ დაცული ნაპირის სიგრძე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი შენიშვნების გათვალისწინებით, რის შემდგომაც, სამინისტრო დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით კანონმდებლობის შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044